დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შიდა სპორტული და ერთი გარე მოედანი აქვს. სპორტული დარბაზის ფართობია 40 კვ.მ.<br>ღია სპორტული მოედანი მცირე ზომისაა. სპორტული დარბაზის ფართი არ იძლევა მისი სრულყოფილი გამოყენების საშუალებას .დირექციის განმარტებით ზოგიერთ შემთხვევაში სპორტის და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩასატარებლად გამოიყენება სააქტო დარბაზი, რომლის ფართია 120 კვ.მ. სკოლას აქვს სპორტული ინვენტარი: კალათბურთის და ფეხბურთის ბურთები, ჩოგნები, ჭადრაკის დაფები.<br>*სკოლას მიეცა რჩევა სააქტო დარბაზის რეორგანიზაციის შესახებ, რათა იქ მოხდეს სპორტის გაკვეთილების ჩატარება, ამავე დროს დარბაზთან მიმდებარე ორი ფართის რეორგანიზაცია გოგონებისათვის და ბიჭებისთვის გასახდელების მოსაწყობად;* ***(არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ მზაობა განაცხადა და აღნიშნულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს მომავალი სასწავლო წლიდან.)*** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;<br>✓ ვიზუალური დათვალიერება;<br>✓ სპორტული ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია შენობის მეორე სართულზე. კედლის კარადებში ინახება შესაბამისი ინვენტარი და მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება სწავლა-სწავლების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროცესში. ლაბორატორიის ოთახს აქვს ფანჯრები. **ვიზიტის პერიოდისთვის არ იყო დამონტაჟებული გამწოვი კარადა, მაგრამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ გამოაგზავნა დამონტაჟებული გამწოვი მექანიზმის დამადასტურებელი ფოტო მასალა.** 13 ინდივიდუალური მერხი და სკამია. რეაქტივების მარაგი ძალზე მწირია **და ისინი არ ინახებოდა მოსწავლეთათვის მიუწვდომელ ადგილზე, თუმცა სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გაითვალისწინა ეს რეკომენდაცია და შეიძინა სპეციალური კარადა, რომელიც იკეტება.** სკოლის კომპიუტერული კლასი გამიზნულია საგაკვეთილო მიზნებისთვის. კლასში განთავსებულია 6 ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერი. სტანდარტის უკეთ შესრულების მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ლაბორატორიაში დაამონტაჟოს გამწოვი მექანიზმი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ზედნადები);<br>✓ კომპიუტერული ტექნიკის შეძენის დამადასტურებელი საბუთები;<br>✓ ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ელექტროენერგიის და წყლის მიწოდება უწყვეტად ხორციელდება. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები: გოგონების და ბიჭებისათვის ცალ-ცალკე ორ-ორი სველი წერტილი. პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ ვიზუალური დათვალიერება;<br>✓ კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 2021-2022 სასწავლო წლისთვის გრიფირებული ყველა სახელმძღვანელო.<br>• მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა.<br>• პერიოდული ლიტერატურა, სასწავლო ლექსიკონები და ენციკლოპედიები.<br>• სასწავლო რუკები და ატლასები.<br>წიგნადი ფონდი სახელმძღვანელოების გარეშე მოიცავს 1430 ეგზემპლიარს.<br>ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ელექტრონული პროგრამით „ოფენბიბლიო openbiblio“.<br>ბიბლიოთეკაში არის წიგნების ანბანური საძიებო კატალოგი და მკითხველის ფორმულარები. სკოლის ბიბლიოთეკის ფუნქციონირება ხორციელდება სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტის ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და დებულება“ შესაბამისად. ბიბლიოთეკაში არის ორი ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერი მოსწავლეებისთვის და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის. ბიბლიოთეკა განლაგებულია 14 კვ.მ ფართის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ოთახში, **რომელშიც შესვლა შესაძლებელია სამასწავლებლოდან, შესაბამისად მოსწავლეთათვის მოუხერხებელი იქნება ბიბლიოთეკით სარგებლობა და მისი გამოყენება როგორც სამკითხველო დარბაზის.** ბიბლიოთეკაში არ არის გამოკრული სამუშაო საათები, თუმცა ბიბლიოთეკარის განმარტებით, მოსწავლეები სარგებლობენ ბიბლიოთეკით საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ. ბიბლიოთეკარის ფუნქცია შეთავსებული აქვს სკოლის ექიმს.<br>სკოლას მიეცა რჩევა ბიბლიოთეკის სხვა უფრო დიდ ფართში გადატანასთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი იყოს სამკითხველო დარბაზის მოწყობა და მოსწავლეთათვის ხელსაყრელი იყოს ბიბლიოთეკით სარგებლობა;<br>სტანდარტის უკეთ შესრულების მიზნით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აიყვანოს ცალკე ბიბლიოთეკარი, რათა მოსწავლეებს მიეცეთ ბიბლიოთეკით სრულფასოვნად სარგებლობის საშუალება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ სახელმძღვანელოების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>✓ დოკუმენტი ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და დებულება“;<br>✓ პერიოდული გამოცემების ,,ახალი განათლება“ შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>✓ ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან;<br>✓ ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| |
|---|
| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. კერძოდ, სკოლის კიბეებზე განთავსებულია პანდუსები.<br>სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. ამ ეტაპზე სკოლას ერთი შშმ მოსწავლე ჰყავს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლის ვებგვერდია - www.lashari.edu.ge. ფეისბუკ გვერდი: "ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლა „ლაშარი“.<br>პედაგოგების ჯგუფი: "სამასწავლებლო", ასევე ჯგუფები კლასებისა და საგნების მიხედვით, სივრცე პლატფორმა zoom-ში ონლაინ კომუნიკაციისთვის.<br>სკოლის მომსახურებაშია 10 კომპიუტერი, მუდმივი ინტერნეტი.<br>სკოლის კომპიუტერულ კლასში განლაგებულია 6 ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერი.<br>საკლასო ოთახების ნაწილი აღჭურვილია მონიტორებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>✓ ვებ.გვერდის შექმნის ხელშეკრულება;<br>✓ ხელშეკრულება ინტერნეტის პროვაიდერთან ;<br>✓ ვიზუალური დათვალიერება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
|---|---|

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ადგენს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ნუსხას. სკოლაში შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების, სანიტარულ - ჰიგიენური პირობების, მოსწავლეთა უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოების დაცვის და რეგულირების წესი. თანამშრომელთა ევაკუაციის გეგმა. პერიოდულად ტარდება სასწავლო აქტივობები. სკოლას აქვს 6 ცალი ცეცხლმაქრი, რომლებიც დამუხტულია და ყველა სართულზეა განთავსებული. **სკოლის დირექციის ინფორმაციით სკოლას აქვს მიწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, მაგრამ ვიზიტის დროს არ აქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია და ვიზუალურად არ დგინდებოდა რამე ჩატარებული ღონისძიება**. თუმცა ვიზიტის პერიოდში დამატებით წარმოადგინეს მასალები, რომელიც ადასტურებს სკოლის მიერ განხორციელებული შეჯიბრის: სამოქალაქო თავდაცვის ერთთვიურისა და განგაშის „ხანძარიას" ჩატარებას.<br>სკოლამ, 2022 წლის 29 ივლისს წერილი #15/4 -ით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად გააგზავნა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ დოკუმენტი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ სახანძრო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>✓ უსაფრთხოების მენეჯერის სამოქმედო გეგმა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ✓ ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. გარდა ამისა, შენობის პერიმეტრზე დამონტაჟებულია მაჩვენებლები (EXIT), რომლებიც მიუთითებს გასასვლელზე. უნდა აღინიშნოს, რომ გეგმა არის დამოწმებული სკოლის დირექტორის მიერ, რადგან არის შედგენილი ფიზიკური პირის მიერ.<br>სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია მიმართოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის დამონტაჟების გეგმის შესადგენად და საევაკუაციო გეგმის დასამოწმებლად. (***არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ მზაობა განაცხადა და აღნიშნულ რეკომენდაცია გაითვალისწინა და მიმართა შესაბამის სამსახურს და წარმოადგინა მტკიცებულების სახით გაფორმებული ხელშეკრულება, პროცესი მიმდინარეობს).*** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ საევაკუაციო გეგმა;<br>✓ ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში ორგანიზებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. სკოლას ჰყავს დიპლომირებული ექიმი. სასკოლო დებულებაში გაწერილია მისი უფლება-მოვალეობები. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია ყველა აუცილებელი პირველადი დახმარების სამედიცინო ინვენტარით, შესაბამისი წამლებით.<br>მ/წ 21 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/ სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ. სკოლა აკმაყოფილებს ამ ბრძანების მოთხოვნებს. სარგებლობაშია covid რეგულაციების მოთხოვნის შესაბამისი მოსაცდელი და საიზოლაციო ოთახები. **სკოლას მიეცა რჩევა, რომ ექიმმა დაიწყოს ლიცენზირების პროცედურა.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა;<br>✓ სამედიცინო ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>✓ ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" შესაბამისად, სკოლას არ აქვს შემუშავებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესის და პირობების გეგმა. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ მიმართა განათლების და მეცნიერების სამინისტროს წერილით მათ მიერ შემუშავებული გეგმის დამტკიცების შესახებ( 2022 წლის 29 ივნისის წერილი14/4). სკოლას შედგენილი აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები" პროექტი<br>სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე მოსწავლეთა უსაფრთხოებას და წესრიგს უზრუნველყოფენ მორიგე მასწავლებლები. სკოლას შედგენილი აქვს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უსაფრთხოების სამსახურის დებულებაც, სადაც გაწერილია სამსახურის საქმიანობის სფერო და ფუნქციები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (პროექტი);<br>✓ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილი წერილი;<br>✓ დაცვაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>✓ ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამერებით. სულ სკოლაში 10 ვიდეო კამერაა, აქედან 3 კამერით ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერება ხორციელდება, კამერების მახასიათებლები შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანების მოთხოვნებს, 7 კამერა შენობის შიგნით იყო დამონტაჟებული. სკოლის ვიდეო თვალთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი წარმოდგენილია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტში. სკოლის ვიდეო კონტროლი ხორციელდება უსაფრთხოების მენეჯერის მიერ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ სათვალთვალო კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ✓ სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;<br>✓ ვიზუალური დათვალიერება;<br>✓ შრომითი ხელშეკრულებები უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებთან. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს იურდიული პირის წესდება, სკოლის დებულება და შინაგანაწესი. სკოლის სამეწარმეო საქმიანობა ეფუძნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამის წესდებას. შემუშავებულია სასკოლო დებულება, სადაც გაწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულები, საშტატო განრიგი, თითოეული ერთეულის თანამდებობრივი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები. სასკოლო ცხოვრების ყოველდღიურობას არეგულირებს შინაგანაწესი. სკოლის დებულება აწესრიგებს საგანმანათლებლო საქმიანობას, მის მართვის წესებსა და პრინციპებს. გარდა ამისა, დებულებით წარმოდგენილია ინფორმაცია სკოლის სტრუქტურისა და მართვის პრინციპების, მართვის ორგანოების, სტრუქტურული ერთეულების შესახებ. დეტალურად გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობებიც. სკოლის დებულების თანახმად სკოლის სტრუქტურა შედგება შემდეგი ერთეულებისგან:<br>დირექცია - (სკოლის დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელი, საგაკვეთილო პროცესის კოორდინატორი, შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზატორი); |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის ადმინისტრაცია - (ფინანსური მენეჯერი, ტექნიკური მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, IT-მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექიმი, უსაფრთხოების მენეჯერი, უსაფრთხოების ოფიცერი);<br>პედაგოგიური საბჭო;<br>საგნობრივი კათედრები;<br>დისციპლინური კომიტეტი;<br>მოსწავლეთა კლუბები;<br>სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე. ასევე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე. შინაგანაწესით რეგულირდება შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება, წახალისების ფორმები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლებები და მოვალეობები, დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, მოსწავლეებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან ურთიერთობის წესი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ წესდება;<br>✓ დებულება;<br>✓ შინაგანაწესი. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| |
|---|
| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2022-2028 წწ და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შექმნილია SWOT ანალიზის საფუძველზე. გამოკვეთილია სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეები, საფრთხეები და შესაძლებლობები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა<br>✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა<br>✓ SWOT ანალიზის ფორმა და შევსების სახელმძღვანელო. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | საქმისწარმოების ერთიანი წესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზე) და თანამშრომლებისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს.<br>დოკუმენტბრუნვა მოიცავს შემდეგი სახის დოკუმენტაციას: შემოსული დოკუმენტაცია, გასული დოკუმენტაცია .<br>სკოლაში იწარმოება შემდეგი სახის აღრიცხვის ჟურნალები: შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დამოწმებულია დირექტორის მიერ. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ საქმისწარმობის წესი;<br>✓ სარეგისტრაციო ჟურნალები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |
| **რჩევები:** | ✓ სკოლას მიეცა რჩევა სააქტო დარბაზის რეორგანიზაციის შესახებ, რათა იქ მოხდეს სპორტის გაკვეთილების ჩატარება, ამავე დროს დარბაზთან მიმდებარე ორი ფართის რეორგანიზაცია გოგონებისათვის და ბიჭებისთვის გასახდელების მოსაწყობად;<br>✓ სკოლას მიეცა რჩევა ბიბლიოთეკის სხვა უფრო დიდ ფართში გადატანასთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი იყოს სამკითხველო დარბაზის მოწყობა და მოსწავლეთათვის ხელსაყრელი იყოს ბიბლიოთეკით სარგებლობა.<br>✓ ექიმმა დაიწყოს ლიცენზირების პროცედურა. |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

### 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის დებულება და საშტატო განრიგი განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობას და თანამდებობებს. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექცია, დირექციის შემადგენლობაში შედის დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი (მოადგილე), მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელი, საგაკვეთილო პროცესის კოორდინატორი, შემოქმედებით მუშაობის ორგანიზატორი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დებულების მიხედვით სკოლას ჰყავს სხვა პერსონალიც (საქმისმწარმოებელი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დამლაგებლები, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ტექნიკური მუშაკი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, ფინანსური მენეჯერი, IT-მენეჯერი) რომელთა უფლება- მოვალეობებიც გაწერილია აღნიშნულ დოკუმენტში. სკოლაში დასაქმებულია 46 თანამშრომელი, მათგან 37 ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ სკოლის დებულება;<br>✓ ტარიფიკაცია;<br>✓ პირადი საქმეები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ** | |
|---|---|
| **პედაგოგთა საერთო რაოდენობა** | **37** |
| **მოწვეული/მაძიებელი** | **7/3** |
| **უსტატუსო მასწავლებლი** | **6** |
| **უფროსი მასწავლებლი** | **21** |
| **წამყვანი მასწავლებლი** | **-** |
| **მენტორის სტატუსი** | **-** |
| | |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მასწავლებელთა დასაქმების კანონმდებლობასთან შესაბამისობა. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მასწავლებელი არ იყო კონკურსის წესით დასაქმებული, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მინისტრის 174/ნ ბრძანებას, თუმცა ვიზიტის პერიოდში მყისიერად მოხდა რეაგირება, გამოცხადდა ყველა თანამდებობაზე ვაკანსია, რაც დადასტურდა შესაბამისი დოკუმენტაციით. სტანდარტის უკეთ შესრულების მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობაზე მიღება განახორციელონ კანონმდებლობის სრული დაცვით - კონკურსის გამოცხადების გზით. (***არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ მზაობა განაცხადა და აღნიშნულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს მომავალი სასწავლო წლიდან.)*** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ pedagogi.ge პორტალი<br>✓ კომისიის შექმნის ბრძანება;<br>✓ კონკურსის გამოცხადების დოკუმენტაცია. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შინაგანაწესი შექმნილია შრომის კოდექსის შესაბამისად და იგი განსაზღრავს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა, გათავისუფლების წესებს, წახალისებისა და დასჯის წესს.<br>სკოლაში თანამშრომლის აყვანა ხდება კონკურსის წესით. კონკურსის თაობაზე ინფორმაცია არის საჯარო და იგი ქვეყნდება Teachers.gov.ge -ზე ან ვრცელდება სხვა საჯარო ფორმით. კონკურსი მოიცავს განცხადებების მიღების, შეფასება/გადარჩევისა და გასაუბრების ეტაპებს.<br>სკოლაში სამუშაოდ მიღებულ ყველა თანამშრომელთან სკოლის დირექტორი აფორმებს ხელშეკრულებას, ხელშეკრულების გაფორმებამდე იგი ვალდებულია დასაქმების კანდიდატს დეტალურად გააცნოს ხელშეკრულების პირობები.<br>სკოლაში თანამშრომლის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების სანიმუშო შესრულებისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან |

| | |
|---|---|
| | მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის სკოლას შეუძლია გამოიყენოს წახალისების შემდეგი სახეები:<br>• მადლობის გამოცხადება;<br>• საპატიო სიგელით დაჯილდოება;<br>• ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.<br>• დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.<br>წახალისება ცხადდება ბრძანებით, ეცნობება სკოლის მთელ კოლექტივს და შეიტანება მუშაკის შრომის წიგნაკში.<br>ასევე დაკონკრეტებულია სახდელები თანამშრომლის მიერ დისციპლინის დარღვევისათვის:<br>• სიტყვიერი ან წერილობითი გაფრთხილება ან შენიშვნა;<br>• საყვედური;<br>• სასტიკი საყვედური;<br>• მატერიალური ზარალის ანაზღაურება;<br>• სამსახურიდან გათავისუფლება.<br>დისციპლინური გადაცდომის შედეგებიდან გამომდინარე, თანამშრომელს შეიძლება შეეფარდოს დისციპლინური ზემოქმედების ერთ-ერთი სახე, მოცემული რიგითობის გაუთვალისწინებლად, რაც მოქმედებს შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.<br>დისციპლინური ზემოქმედების გამოყენება შეუძლია სკოლის დირექტორს ადმინისტრაციის წევრის, საგნის მასწავლებლის, მშობლის, მოსწავლის, სკოლის სხვა თანამშრომლის მიერ წარდგინებისა და დარღვევაში შემჩნეული პირის წერილობითი ახსნა-განმარტების საფუძველზე, საკითხის შესწავლის შედეგად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ სკოლის შინაგანაწესი;<br>✓ ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან;<br>✓ კონკურსის ჩატარების წესი. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | მასწავლებლებთან გაფორმებულია ერთწლიანი ხელშეკრულებები, 2021 წლის 01 სექტემბრიდან, 2022 წლის 01 სექტემბრამდე. ექვსი მასწავლებელი მიღებულია 2022 წლის იანვრიდან პერიოდში. მაძიებელ და უფროს მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს კონკრეტული სტატუსის ფარგლებში არსებულ ვალდებულებებს. შვიდი მოწვეული მასწავლებლიდან სამ მასწავლებელთან ხელშეკრულება გაფორმებულია კანონმდებლობის დაცვით, თუმცა დარღვეულია მოწვეული მასწავლებლისთვის განკუთვნილი საათობრივი დატვირთვის წესი. კერძოდ: ერთ მასწავლებელს კვირეული დატვირთვა აქვს 12 საათი, მეორეს - 15 საათი, მესამეს - 19 საათი, რაც ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების კანონის მე-2 მუხლის ღ[9] ქვეპუნქტს, რომლის მიხედვითაც: **„მოწვეული მასწავლებელი – პირი, რომელიც მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის გარეშე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ან გაუთვალისწინებელ საგანს, რომლის სამუშაო დატვირთვაა არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50%-ისა**.“ ***(არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ მზაობა განაცხადა და აღნიშნულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს მომავალი სასწავლო წლიდან.)***<br>უსტატუსო მასწავლებლების ხელშეკრულებებში არ არის განსაზღვრული საგნობრივი გამოცდის ვალდებულება. მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე ერთი წლის ვადითაა. უსტატუსო მასწავლებლების ნაწილი (2 მასწავლებელი) მიღებულია კონკურსის გამოცხადების გარეშე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის სხვა თანამშრომლებთან ხელშეკრულებები დადებულია კანონის შესაბამისად.<br>სხვა შემთხვევაში ხელშეკრულებები შეესაბამება შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას; ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ხარვეზის გამოსწორების მიზნით მომდევნო წლებში გაითვალისწინოს მოწვეული მასწავლებლებისთვის გასანაწილებელი საათობრივი დატვირთვის ოდენობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>✓ ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;<br>✓ ტარიფიკაცია და გაცემული ხელფასის აღრიცხვის უწყისი;<br>✓ საქმისწარმოების წესი; |
| **შეფასება:** | ☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მასწავლებლებს აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგებისა და აქტივობების თაობაზე. სისტემატურად აკვირდება საგაკვეთილო პროცესს და აძლევს რეკომენდაციებს შემდგომი განვითარების მიზნით. თუმცა სკოლამ დოკუმენტურად ვერ წარმოადგინა სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის წესი. ადმინისტრაციის განმარტებით გასაუბრების საფუძველზე მიმდინარეობს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის საჭიროებების დადგენა და საჭირო პროცესების დაგეგმვა-განხორციელება. სკოლას მიეცა რჩევა, იმის თაობაზე, რომ დაწვრილებით გაწეროს თანამშრომელთა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროფესიული განვითარების წესი და მიზანმიმართულად განახორციელოს პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ პროფესიული განვითარების წესი;<br>✓ მონიტორინგის მექანიზმები;<br>✓ საგაკვეთილო დაკვირვების შევსებული ფორმები;<br>✓ გაცემული განმავითარებელი უკუკავშირები;<br>✓ ინტერვიუები თანამშრომლებთან;<br>✓ კითხვარები;<br>✓ კათედრის და მასწავლებელთ პორტფოლიოები;<br>✓ სამოქმედო გეგმები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში ნამდვილად სუფევს კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, მასწავლებლები კათედრის სხდომებზე იხილავენ სწავლა-სწავლების მნიშვნელოვან საკითხებს, გეგმავენ სასწავლო პროცესს.<br>სკოლაში შემუშავებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადამიანური რესურსის მართვისა და გადაწყვეტილების მიღების ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით შესაძლებელი იქნება დასაქმებულ პირებზე პასუხისმგებლობების გადანაწილება. უფლება მოვალეობების ნაწილის მიხედვით მათი შესაძლებლობების გამოვლინება. გასაუბრებისას მოსწავლეები და მასწავლებლები ხშირად აკეთებენ აქცენტს ერთმანეთის მიმართ დადებით განწყობასა და ურთიერთდახმარების სურვილზე, სხვადასხვა საკლასო და სასკოლო აქტივობების ერთად დაგეგმვასა და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ✓ კათედრებისა და პედსაბჭოს სხდომის ოქმები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ✓ მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუ. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | მოქმედი კანონმდებლობის (ზოგადი განათლების კანონის მე-2 მუხლის ღ[9] პუნქტის) შესაბამისად, მოწვეულ მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 9 საათს, რაც გასათვალისწინებელია მომდევნო სასწავლო წლებში. |
| **რჩევები:** | სკოლას მიეცა რჩევა, იმის თაობაზე, რომ დაწვრილებით გაწეროს თანამშრომელთა (გარდა მასწავლებელთა) პროფესიული განვითარების წესი და მიზანმიმართულად განახორციელოს პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვა; |
| **ხარვეზები:** | დარღვეულია მოწვეული მასწავლებლისთვის ზოგადი განათლების კანონით განსაზღვრული მე-2 მუხლის ღ[9]) პუნქტი: მოწვეული მასწავლებელი – პირი, რომელიც მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის გარეშე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ან გაუთვალისწინებელ საგანს, რომლის სამუშაო დატვირთვაა არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50%-ისა.“ |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☒ **სტანდარტი დარღვეულია** |

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ.თბილისი
(შევსების ადგილი) თარიღი
თბილისი 07/08/2022 წ

გვერდების რაოდენობა - 47



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.